



**ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა**
(სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ თორტიზის საჯარო სკოლა)

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: თეონა ყაჭეიშვილი

წევრები:

თამარ აბაზაძე - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი

ეთერი ბროლაძე - საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი

ნიკა უთალიშვილი - საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი

ნათელა ბასილია - უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი

ქეთევან პარუნაშვილი - ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი

ანა ობოლაძე - ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი

ნანა შალამბერიძე - სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი

შაქრო ჟღენტი - მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი

საბა დარსაველიძე - სპორტის საგნობრივი ექსპერტი

ხათუნა ბენდელიანი - ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი



ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია დაწესებულების შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ თორტიზის საჯარო სკოლა
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	218049136

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	გორის მუნიციპალიტეტი
ფაქტობრივი მისამართი	გორის მუნიციპალიტეტი სოფელი თორტიზა
საფოსტო ინდექსი	1400
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	https://skolebi.emis.ge/schools/2378
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	tortiza@mes.gov.ge

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი	577922563
--	-----------

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

ვიზიტის საფუძველი (ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი)	სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2024 წლის 6 აგვისტოს N MES 7 24 0000947844 ბრძანება
ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	9-10 სექტემბერი, 2024 წელი

IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების შესახებ

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები, რომლის განხორციელებაც სურს სკოლას.

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	სასწავლო მიზნებისთვის გამოსაყენებელი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის/ქუჩის და თითოეულ მისამართზე შენობა- ნაგებობების რაოდენობის მიითითებით)

1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი საგანმანათლებლო საფეხური	ქართული ენა	გორის მუნიციპალიტეტი სოფელი თორტიზა (1 ერთი შენობა -ნაგებობა)
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო საგანმანათლებლო საფეხური	ქართული ენა	გორის მუნიციპალიტეტი სოფელი თორტიზა (1 ერთი შენობა -ნაგებობა)

V. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

მოკლედ აღწერეთ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შეფასებასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები.

სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ თორტიზის საჯარო სკოლაში შეფასების პროცესი აქტიურ რეჟიმში წარიმართა - ორი სავიზიტო დღის (2024 წლის 9 და 10 სექტემბერი) განმავლობაში. შედგა ინტერვიუების პროცესი, როგორც სკოლის ადმინისტრაციასთან, ისე - სხვადასხვა საგნობრივი კათედრის წევრებთან.

საგნობრივ ექსპერტებს საშუალება ჰქონდათ ონლაინ რეჟიმში გასაუბრებოდნენ შესაბამისი კათედრის მასწავლებლებს და მოეპოვებინათ მათთვის საჭირო ინფორმაცია მეორე სტანდარტთან დაკავშირებით. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე და ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი ვიზიტის პერიოდში გაეცნენ ავტორიზაციის ოთხივე სტანდარტის მოთხოვნების მიხედვით სკოლაში სასწავლო პროცესების მართვასთან დაკავშირებულ დოკუმენტაციას, დაათვალიერეს ინფრასტრუქტურა სრულად. ვიზიტის პერიოდში ექსპერტთა მიერ დამატებით იქნა გამოთხოვილი გარკვეული დოკუმენტაცია.

ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ექსპერტი ვიზიტის ორივე დღეს ჩაერთო საგნობრივი ექსპერტების შეხვედრებში, გამართა დიალოგი სხვადასხვა საგნობრივი ჯგუფის მასწავლებლებთან კურიკულუმების შემუშავების, განხორციელების, გადამუშავების პროცესის შესახებ, კომპლექსური დავალებებისა და მოსწავლეთა შეფასებების პროცესის შესახებ.

ვიზიტის ბოლოს ექსპერტებმა მიაწოდეს ინფორმაცია სკოლის წარმომადგენლებს იმ მიგნებების შესახებ, რომლებიც ვიზიტის დროს გამოიკვეთა.

სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ თორტიზის საჯარო სკოლაში ვიზიტმა ჩაიარა მშვიდ, საქმიან, თანამშრომლურ გარემოში.

VI. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

ცხრილი არ ივსება პირველად ავტორიზაციაზე.

წინა ავტორიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა

VII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

სკოლა განსაკუთრებით გამოირჩევა სხვადასხვა პროექტების დაგეგმვისა და განხორციელების მხრივ: მაგალითად, სსიპ გორის რაიონის თორტიზის სკოლას მარტო წინა 2023-2024 სასწავლო წელს განხორციელებული ჰქონდა 10-ზე მეტი პროექტი, ისეთ თემებზე, როგორიცაა: კიბერბუღინგი, ნაადრევი ქორწინება, ეკოლოგია, ჯანსაღი ცხოვრების წესი და სხვა... ასევე - აქციები სააღდგომო, 9 აპრილის ღონისძიება და სხვა.. სკოლის მოსწავლეებს შექმნილი ჰქონდათ საინტერესო კომპლექსური დავალებები. ამ დავალებებიდან ერთერთ საუკეთესო მაგალითად, შესაძლებელია ჩაითვალოს სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის საგანში მომზადებული კომპლექსური დავალების პროდუქტი - შოთა რუსთაველის პოემა “ვეფხისტყაოსნიდან ” იმ ფრაგმენტების კრებული, სადაც ძვირფასი ქვების სახელები ჰქონდა შოთას გამოყენებული. კრებული მოსწავლეთა ხელით იყო გაკეთებული: ყდა მოპირკეთებული იყო ძვირფასი ქვების მსგავსი ელემენტებით: ფსევდო - მარგალიტით, გიშრით, ლალით, ზურმუხტით იქვე მოსწავლეებს მოპოვებული ჰქონდათ ინფორმაცია აღნიშნული ძვირფასი ქვების ქიმიური შემადგენლობის და ფიზიკური თვისებების შესახებ. თითოეულ ძვირფას ქვასთან იყო პოემის



ნაწყვეტი - ციტატები კალიგრაფიული ხელნაწერის სახით, სადაც კონკრეტულად შესაბამისი ქვაა მოხსენებული. მოსწავლეებმა ერთგვარი სამეცნიერო, ინტეგრირებული ნაშრომი მოამზადეს ლამაზყდიანი, გაფორმებული კრებულის სახით, რაც ვიზუალურადაც მიმზიდველი და საინტერესო იყო, ხოლო კვლევის თვალსაზრისით უნიკალური...



ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)
სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☒ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.1	☒ შეესაბამება



პერსონალის მართვა	☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.2 პერსონალის განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.3 პროცესების მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.4 ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.5 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☒ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.6 საინფორმაციო რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება



კომპონენტი 3.7 ფინანსური რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 4 მოსწავლეთა მხარდაჭერა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.2 მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

მოსწავლეთა რაოდენობა:	ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება	აღწერა (იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)



200	☐	
	ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐	

III. ექსპერტთა ჯგუფის შეფასება ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამასთან/პროგრამებთან მიმართებით.

ექსპერტთა ჯგუფმა სრულ და მეტწილ შესაბამისად შეაფასა შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები:
ექსპერტთა ჯგუფმა დადებითად შეაფასა დაწყებითი, ხოლო საბაზო ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები შეაფასა მეტწილად.

IV. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	ხარვეზი
სტანდარტი		ხარვეზი
ინდიკატორი N		

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (ასახეთ კურიკულუმის დასახელება)	ხარვეზი
ინდიკატორი N		

V. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა).¹

სტანდარტი N3		სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია
3.4.1.1.	სკოლას არ აქვს უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენიშვნის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა.	სკოლამ 16.10.2025 წლამდე (<i>შესაბამისობის გეგმის მიხედვით გათვალისწინებულ ვადაში</i>) <i>უზრუნველყოს</i> უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენიშვნის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნის მოპოვება.
3.5.1.1.	სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენი ლი მოსწავლეთა ადგილების ზღვრუ- ლი რაოდენობის გათვალისწინებით;	სკოლამ 09.09.2025 წლამდე - (<i>შესაბამისობის გეგმის მიხედვით გათვალისწინებულ ვადაში</i>) უნდა გაატაროს საჯარო რეესტრში ახალ მისამართზე არსებული სკოლის ახალი შენიშვნა, მისი ფართი და შენიშვნის მიმდებარე მიწის ნაკვეთი.

¹ გარდა მხოლოდ სტანდარტის ნაწილობრივი შესაბამისობისა.



3.5.1.4.	სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;	სკოლამ 16.10.2026 წლამდე - (შესაბამისობის გეგმის მიხედვით გათვალისწინებულ ვადაში) უნდა უზრუნველყოს სკოლის შენობის მეორე სართულის ყველა კატეგორიის მოსწავლის ხელმისაწვდომობა და ამ მიზნით დაამონტაჟოს ლიფტი ან სკოლის კიბეებზე ადაპტირებული რელსები.

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (ასახეთ კურიკულუმის დასახელება)	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია
ინდიკატორი 2.1.2.3	სკოლა უზრუნველყოფს საგნობრივი კურიკულუმით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისათვის საკმარისი რაოდენობის მატერიალურ რესურსს, მოსწავლეთა რაოდენობის გათვალისწინებით	საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ექსპერტი რეკომენდაცია: ვინაიდან, სკოლას არ გააჩნია შესაბამისი მატერიალური რესურსი, კერძოდ, საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორია, რის გამოც კურიკულუმში შეტანილ დავალებებში კვლევითი კომპონენტის გაძლიერება და ლაბორატორიული სამუშაოს ჩატარება რიგ სირთულეებთან იქნება დაკავშირებული, მივცემდი რეკომენდაციას,

		რომ უზრუნველყოს კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების სრულფასოვნად მიღწევა, სასურველია მოეწყოს და შესაბამისი ინვენტარითა და რეაქტივებით აღიჭურვოს საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორია. სკოლას შესაბამისობის გეგმაში წარმოდგენილი აქვს ლაბორატორიის მოწყობა და რესურსებით აღჭურვა 27.05.2025 წლამდე.
--	--	--

VI. რჩევა

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	რჩევა
ინდიკატორი N.1.1.1.1	1. სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს;	სკოლას მიეცა რჩევა: <u>სასურველი იქნება, თუ სასკოლო საზოგადოების ჩართულობით დაწესებულება გადახედავს მისიას და უფრო მეტი იდენტობის გამოვლენის მიზნით, გამოყოფს სკოლის უნიკალურობას, მის ძლიერ მხარეებს.</u>
ინდიკატორი 3.1.2.4.	პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს;	<u>პერსონალის პირადი საქმეები, სასურველია სისტემატიზებულ იქნას დაწესებულებაში დამტკიცებული საქმისწარმოების წესის შესაბამისად .</u>
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული	რჩევა



	და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	
ინდიკატორი N3.4.1.6.	სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას;	<u>სკოლას მიეცა რჩევა პერსონალური მონაცემების ოფიცირის აყვანის, რაც დარეგულირებულია ახალი კანონმდებლობის მიხედვით.</u>
3.5.1.3.	სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით;	<u>სკოლამ სასურველია ბიბლიოთეკაში არსებული წიგნები ბიბლიოთეკის წესით შესაბამისად გაატაროს</u>
ინდიკატორი N.3.6.3.2.	სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;	<u>სკოლის ვებგვერდზე, facebook გვერდსა , თუ საინფორმაციო დაფებზე განთავსებული ინფორმაცია, სასურველია, მუდმივად განახლებადი იყოს.</u>
სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (დაწყებითი საფეხური)	რჩევა



ინდიკატორი N2.1.2.1	საგნობრივი კურიკულუმი წარმოადგენს სტრუქტურირებულ დოკუმენტს და მოიცავს ყველა აუცილებელ კომპონენტს	მათემატიკის ექსპერტის რჩევა; სასურველი იქნება სკოლაში შემუშავდეს კურიკულუმის ისეთი დოკუმენტი რომელიშიც გაწერილი იქნება სრულყოფილი სკოლის მიერ შემუშავებული, ყველა ქვედანაყოფი, ეს იქნება ცნება ქვეცნება თუ სხვა. მაგ; მე-5 კლასის კურიკულუმში წერია დასაწყისში, თემაში თავი ერთი და ის არ კონკრეტდება რას მოიცავს.
N2.1.2.2.	საგნობრივი კურიკულუმით განსაზღვრული შუალედური მიზანი/მიზნები წარმოადგენს შემოქმედებით პროდუქტს	მათემატიკის ექსპერტის რჩევა; აუცილებელია კურიკულუმში დაკონკრეტდეს შუალედური სასწავლო მიზნის მისაღწევად რა შემოქმედებითი პროდუქტი უნდა შეიქმნას, მაგ მე-5 კლასში წერია ტესტ და არ არის დაკონკრეტებული მოკლედ პირობა რა იგულისხმება, იგივე შეიძლება ითქვას მე-6 კლასში.
N2.1.2.3.	საგნობრივი კურიკულუმით განსაზღვრული მატერიალური რესურსი (ტიპი, რაოდენობა) უზრუნველყოფს კურიკულუმით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას	მათემატიკის ექსპერტის რჩევა; კურიკულუმში ჩაწერილი წინადადება რესურსის გრაფაში, „სამინისტროს რესურსი“ რა იგულისხმება არ კონკრეტდება ამიტომ გაურკვეველი დარჩება დაინტერესებული პირისათვის, გაითვალისწინეთ რომ დეტალურად აღწერეთ რას გულისხმობთ. რესურსები შეარჩიეთ სასწავლო თემის შესაბამისად, რათა შესაძლებელი იყოს მიზნის მიღწევა ამისათვის ყველა გრაფაში ერთი და იგივე ტექსტის გადმოწერა არ არის სასურველი, გთხოვთ გახადოთ მრავარფეროვანი.
ინდიკატორი 2.1.2.4	საგნობრივ კურიკულუმში გათვალისწინებულია	რჩევა; მიზანშეწონილია ტესტის შედგენის დროს გაითვალისწინოთ დიფერენცირებული მიდგომები, რათა ყველა მოსწავლისთვის



	დიფერენცირებული და ინკლუზიური მიდგომები(მათემატიკა)	დავლება გახდეს ერთნაირად დამაინტერესებელი.
ინდიკატორი 2.1.2.3	საგნობრივი კურიკულუმით განსაზღვრული სასწავლო რესურსი უზრუნველყოფს კურიკულუმით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას (მათემატიკა)	რჩევა; რესურსები შეარჩიეთ სასწავლო თემის შესაბამისად, რათა შესაძლებელი იყოს მიზნის მიღწევა ამისათვის ყველა გრაფაში ერთი და იგივე ტექსტის გადმოწერა არ არის სასურველი, გთხოვთ გაზადოთ მრავარფეროვანი.
ინდიკატორი 2.1.2.5	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს	მათემატიკის ექსპერტის რჩევა; თქვენს მიერ გადმოგ ზავნილი შეფასების რუბრიკა შაბლონურია, მიაქციეთ თემის ფარგლებში მეტ დეტალურ აღწერას ყურადღება.
ინდიკატორი 2.1.2.5	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს	ესთეტიკური საგნების ექსპერტის რჩევა: · შეფასების რუბრიკებში არაა დაფარული მოსწავლეთა მონაცემები. გაითვალისწინონ პერსონალურ მონაცემთა დაცვის საკითხები;



ინდიკატორი 2.1.2.5	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს	· ესთეტიკური საგნების ექსპერტის რჩევა: განმავითარებელ შეფასებაში აქცენტი გაკეთდეს არა მხოლოდ მოსწავლის მიერ მიღწეულ შედეგზე, არამედ აღინიშნოს კონკრეტული გზები/რჩევები თემის/საკითხის შესაბამისი კონკრეტული მიზნის მისაღწევად.
ინდიკატორი 2.1.2.5	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს	სახელმწიფო ენის ექსპერტის რჩევა: • დაწყებით საფეხურზე განხორციელებული აქტივობები შეფასდეს განმავითარებელი შეფასების სხვადასხვა ინსტრუმენტით (თვითშეფასება, ურთიერთშეფასება); • განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება გამოკვეთეთ გრძელვადიან სასწავლო მიზნებთან (საფეხურის შედეგი, სამიზნე ცნება) მიმართებით, კონკრეტულ ინდიკატორზე დაყრდნობით. • ასევე სოლო ტაქსონომიის დონეების აღწერილობაც უნდა შეესაბამებოდეს შუალედური შედეგის შესამოწმებელი კონკრეტული დავალების სამიზნე ცნებებს, მკვიდრ წარმოდგენებს.
ინდიკატორი 2.1.2.5	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო	უცხოენების საგნობრივი ექსპერტის რჩევა: სასურველია, უცხოურ ენებში დაგეგმილი თითოეული დავალებისთვის შეიქმნას განმავითარებელი



	გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს	შეფასების რუბრიკა, რომელიც დაადგენს მოსწავლის განვითარების დინამიკას და მიმართული იქნება სწავლის ხარისხის გაუმჯობესებაზე.
ინდიკატორი 2.2.2.1	სასწავლო პროცესში გამოიყენება კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე (ასეთის არსებობის შემთხვევაში) სასწავლო რესურსი	საზოგადოებრივი მეცნიერებების ექსპერტის რჩევა: მე და საზოგადოებისა საგნობრივ კურიკულუმებში რესურსად ძირითადად სახელმძღვანელოა მითითებული. შესაბამისად, დამატებული უნდა იყოს დამხმარე რესურსების ჩამონათვალი, რაც გასაუბრების პროცესშიც პედაგოგებმა დაადასტურეს.
ინდიკატორი 2.2.1.3	შეფასების სისტემა არის ვალიდური	საზოგადოებრივი მეცნიერებების ექსპერტის რჩევა: ჩვენი საქართველოს განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები მეტად დააკავშირეთ გრძელვადიანი მიზნის ფარგლებში მისაღწევ შედეგებთან, საკითხის/თემის ფარგლებში.
ინდიკატორი 2.1.2.5	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს	სპორტის ექსპერტის რჩევა: სასურველია შეფასების რუბრიკების უფრო დაკონკრეტება თემებსა და საკითხებზე დამიზნებით.



ინდიკატორი 2.1.2.5	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს	ტექნოლოგიების ექსპერტის რჩევა: ინტერნეტის შეფერხების დროს შესაძლებელია ისეთი დავალების მიცემა, რომელიც არ მოითხოვს ინტერნეტზე წვდომას. დაგეგმილი დავალების ადაპტირება შეიძლება (ზანდაზან აუცილებელიცაა) სიტუაციიდან გამომდინარე.
სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (საბაზო საფეხური)	რჩევა
ინდიკატორი 2.1.2.1	საგნობრივი კურიკულუმი წარმოადგენს სტრუქტურირებულ დოკუმენტს და მოიცავს ყველა აუცილებელ კომპონენტს	უცხოური ენების ექსპერტი რჩევა: საბაზო საფეხურზე მე-8, მე-9 კლასის უცხოური ენების კურიკულუმებშიც მიეთითოს შუალედური მიზანი, რომელიც იქნება შემოქმედებითი პროდუქტი და რომლის საშუალებითაც მოსწავლე საგნობრივ საკითხთან/საკითხებთან მიმართებით საკუთარ ცოდნას წარმოაჩენს. ასევე, თითოეული თემისთვის მიეთითოს რესურსი კონკრეტულად.
ინდიკატორი 2.1.2.5	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს	სპორტის ექსპერტის რჩევა: სასურველია შეფასების რუბრიკების უფრო დაკონკრეტება თემებსა და საკითხებზე დამიზნებით.



ინდიკატორი 2.1.2.5	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს	სახელმწიფო ენის ექსპერტის რჩევა: • საბაზო საფეხურზე განხორციელებული აქტივობები შეფასდეს განმავითარებელი შეფასების სხვადასხვა ინსტრუმენტით (თვითშეფასება, ურთიერთშეფასება); • განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება გამოკვეთეთ გრძელვადიან სასწავლო მიზნებთან (საფეხურის შედეგი, სამიზნე ცნება) მიმართებით, კონკრეტულ ინდიკატორზე დაყრდნობით. • სოლო ტაქსონომიის დონეების აღწერილობა უნდა შეესაბამებოდეს შუალედური შედეგის შესამოწმებელი კონკრეტული დავალების სამიზნე ცნებებს, მკვიდრ წარმოდგენებს.
ინდიკატორი 2.1.2.5	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს	ესთეტიკის კათედრის ექსპერტის რჩევა: კომპლექსური შემაჯამებელი დავალების რუბრიკაში ჩანს მოსწავლეთა მონაცემები. გაითვალისწინონ პერსონალურ მონაცემთა დაცვის საკითხები.
ინდიკატორი 2.1.2.1	საგნობრივი კურიკულუმით განსაზღვრული შუალედური მიზანი/მიზნები წარმოადგენს	მათემატიკის ექსპერტის რჩევა; ხშირად შუალედური მიზნის მისაღწევ გრაფაში წერია ტესტი, მაგრამ ის არ კონკრეტდება რა შემოქმედებითი პროდუქტი უნდა შეიქმნას აღწერილობაში, რაც გაურკვეველია, გთხოვთ



	შემოქმედებით პროდუქტს	აღწერეთ თითოეულში რას გულისხმობთ.
ინდიკატორი 2.1.2.2	საგნობრივი კურიკულუმით განსაზღვრული აქტივობები უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას	მათემატიკის ექსპერტის რჩევა; სასურველი იქნება დეტალურად გამოჩნდეს კომპლექსურ დავალებაში ის ეტაპები რომელიც უზრუნველყოფს სასწავლო შედეგის მიღწევას.
ინდიკატორი 2.1.2.4	საგნობრივ კურიკულუმში გათვალისწინებულია დიფერენცირებული და ინკლუზიური მიდგომები	მათემატიკის ექსპერტის რჩევა; მიზანშეწონილია ტესტის შედგენის დროს გაითვალისწინოთ დიფერენცირებული მიდგომები, რათა ყველა მოსწავლისთვის დავალება გახდეს ერთნაირად დამაინტერესებელი.
ინდიკატორი 2.1.2.3	საგნობრივი კურიკულუმით განსაზღვრული მატერიალური რესურსი (ტიპი, რაოდენობა) უზრუნველყოფს კურიკულუმით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას	მათემატიკის ექსპერტის რჩევა; - კურიკულუმში გამოყენებულია ყველგან ერთი დაიგივე რესურსი, გთხოვთ, გახადეთ მრავალფელოვანი. - სასწავლო რესურსების ის ნაწილი რაც არის მოტანილი კურიკულუმში, არის აუცილებელი, მაგრამ არა საკმარისი მიზნის მისაღწევად. კათედრაზე იმუშავეთ ამ მიმართულებით.
ინდიკატორი	მოსწავლის შეფასების სისტემა	მათემატიკის ექსპერტის რჩევა; თქვენს მიერ გადმოგ ზავნილი



2.1.2.5	შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს	შეფასების რუბრიკა შაბლონურია, მიაქცეით თემის ფარგლებში მეტ დეტალურ აღწერას ყურადღებ
ინდიკატორი 2.2.2.1	სასწავლო პროცესში გამოიყენება კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე (ასეთის არსებობის შემთხვევაში) სასწავლო რესურსი	საზოგადოებრივი მეცნიერებების ექსპერტის რჩევა: გეოგრაფიის საგნობრივ კურიკულუმებში რესურსების სვეტში ყველგან უნდა იყოს მითითებული დამატებითი დამხმარე რესურსების ჩამონათვალი, რაც გასაუბრების პროცესშიც პედაგოგების მიერ გამოიკვეთა.

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (დაწყებითი საფეხური)	რჩევა
ინდიკატორი N2.1.2.1	შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;	მათემატიკის ექსპერტის რჩევა: სასურველი იქნება სკოლაში შემუშავდეს კურიკულუმის ისეთი დოკუმენტი რომელიშიც გაწერილი იქნება სრულად სკოლის მიერ შემუშავებული, ყველა ქვედანაყოფი, ეს იქნება ცნება ქვეცნება თუ სხვა. მაგ: მე-5 კლასის კურიკულუმში წერია დასაწყისში, თემაში თავი ერთი და ის არ კონკრეტდება რას მოიცავს.
N2.1.2.2.	კურიკულუმი მიემართება	მათემატიკის ექსპერტის რჩევა: აუცილებელია კურიკულუმში დაკონკრეტდეს შუალედური სასწავლო მიზნის მისაღწევად რა შემოქმედებითი პროდუქტი

	ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს;	უნდა შეიქმნას, მაგ მე-5 კლასში წერია ტესტი და არ არის დაკონკრეტებული მოკლედ პირობა რა იგულისხმება, იგივე შეიძლება ითქვას მე-6 კლასში.
N2.1.2.3.	კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;	მათემატიკის ექსპერტის რჩევა: კურიკულუმში ჩაწერილი წინადადება რესურსის გრაფაში, „სამინისტროს რესურსი“ რა იგულისხმება არ კონკრეტდება, ამიტომ გაურკვეველი დარჩება დაინტერესებული პირისათვის გაითვალისწინეთ რომ დეტალურად აღწერეთ რას გულისხმობთ. რესურსები შეარჩიეთ სასწავლო თემის შესაბამისად, რათა შესაძლებელი იყოს მიზნის მიღწევა ამისათვის ყველა გრაფაში ერთი და იგივე ტექსტის გადმოწერა არ არის სასურველი, გთხოვთ გახადოთ მრავარფეროვანი.

VII. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

VIII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

გთხოვთ, დეტალურად ასახოთ ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე.

ექსპერტთა ჯგუფმა გაიზიარა სკოლის მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია. დაწესებულებამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც ინდიკატორების მიხედვით გაიწერა შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები, განხორციელების ვადები და ა.შ. აღსანიშნავია, რომ ინდიკატორი, რომელიც სკოლის არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო როგორც - „არ შეესაბამება“ (მესამე სტანდარტთან მიმართებით -3.4.1(1); ექსპერტთა ჯგუფის მხრიდან შეფასდა როგორც „მეტწილად“ შესაბამისი, ვინაიდან, სკოლის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებებით დადგინდა, რომ დაწესებულება აღნიშნულ ინდიკატორთან მიმართებით უზრუნველყოფს ცვლილებებს შესაბამისობის გეგმაში მითითებული ვადების (არაუმეტეს 12 თვე) მიხედვით. ხოლო ინდიკატორი (3.5.1(4)) შეფასდა როგორც „ნაწილობრივ“ შესაბამისი, ვინაიდან დაწესებულება ცვლილებებს ამ ინდიკატორთან მიმართებითაც უზრუნველყოფს შესაბამისობის გეგმაში მითითებული ვადების (არაუმეტეს 24 თვე) მიხედვით.

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)

1. სკოლის ფილოსოფია

1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

1. სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს;
2. სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოცო-კულტურულ სივრცეს;
3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით;
4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ინდიკატორი 1. სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს;

სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ თორტიზის საჯარო სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს: “შევქმნათ მოსწავლეზე ორიენტირებული უსაფრთხო და პოზიტიური სასწავლო გარემო, რომელიც ხელს შეუწყობს მოსწავლეთა ინდივიდუალური შესაძლებლობების გამოვლენას, დემოკრატიული და კულტურული ფასეულობათა პატივისცემას, მოაზროვნე, კანონმორჩილი და ტოლერანტი პიროვნების ჩამოყალიბებას.”.

სასურველი იქნება, თუ სასკოლო საზოგადოების ჩართულობით დაწესებულება გადახედავს მისიას და უფრო მეტი იდენტობის გამოვლენის მიზნით, გამოყოფს სკოლის უნიკალურობას, მის ძლიერ მხარეებს.

ინდიკატორი 1.1.1.1. დაკმაყოფილებულია.

ინდიკატორი 2. სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოცო-კულტურულ სივრცეს;

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლისას და სკოლის ადმინისტრაციასთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ სკოლისთვის მნიშვნელოვანია, კარგად შეისწავლოს საკუთარი, სასკოლო თემისა და ზოგადად საზოგადოების პრიორიტეტები, ღირებულებები და გამოწვევები, რასაც ამ წელსვე აპირებს და შემდგომ სასკოლო საზოგადოების ჩართულობით სკოლის გნსაკუთრებულობა, ორიგინალობა ასახოს სკოლის მისიაში.

დაწესებულება, ასევე, აცნობიერებს, რომ სწავლის პროცესი შეუძლებელია სასკოლო საზოგადოებრივი პრობლემებისგან ცალკე იდგეს და არ ემსახურებოდეს მათ გადაჭრას. მისიის, ხედვისა და ღირებულებების შექმნის პროცესში სკოლა აპირებს ჩართოს სასკოლო საზოგადოება და თანამშრომლობით მოამზადოს განახლებული მისია, ხედვა და ღირებულებები. სკოლა ნამდვილად წარმოადგენს სოციო-კულტურულ სივრცეს.

ინდიკატორი 1.1.1.2. დაკმაყოფილებულია.

ინდიკატორი 3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით;

სკოლას გააზრებული და ჩამოყალიბებული აქვს მისიის, ხედვისა და ღირებულებების, შემუშავების მექანიზმი. დირექტორის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დამტკიცებულია სკოლის ფილოსოფიის (მისია, ხედვა, ღირებულებები) შემუშავებისა და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია, რომლითაც განსაზღვრულია სკოლის მისიის, ხედვისა და ღირებულებების შემუშავების, სტრატეგიული დაგეგმვისა და განვითარების ძირითადი ეტაპები და პროცესში ჩართული მხარეები. მეთოდოლოგიის თანახმად, ასევე სკოლის დირექტორის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით შექმნილია სამუშაო ჯგუფი, რომლის შემადგენლობაში შედის სასკოლო საზოგადოების წარმომადგენლობა. აღნიშნული ჯგუფის მიერ შესწავლილია სასწავლო პროცესის მონაწილეთა მოსაზრებები და შეფასებები.

ამ ჯგუფის ჩართულობით შემუშავებულია სკოლის ფილოსოფიის პროექტი და შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმა, რომელიც შეითანხმა სამეურვეო საბჭომ და დაამტკიცა პედაგოგიურმა საბჭომ.

ინდიკატორი 1.1.1.3 დაკმაყოფილებულია.

ინდიკატორი 4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;

სასკოლო სასწავლო გეგმის ნაწილს წარმოადგენს სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები. შესაბამისად, სკოლის არსებული მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ, შეთანხმებულია მათთან და გათვალისწინებულია მათი შეხედულებები.

ინდიკატორი 1.1.1.4 დაკმაყოფილებულია.



ინდიკატორი 5.სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი;

სკოლის მიერ შემუშავებული მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროა. კერძოდ,განთავსებულია სკოლის ვებგვერდზე, გამოკრულია სკოლის შენობის მისაღებ სივრცეში სადემონსტრაციო დაფის სახით და ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული

პირისთვის.

ინდიკატორი 1.1.1.5 დაკმაყოფილებულია.

ინდიკატორი 6.სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს.

სკოლის სახელწოდება „სსიპ-გორის მუნიციპალიტეტის სოფელ თორტიზის საჯარო სკოლა“ შეესაბამება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 13.09.2005-ის N448 ბრძანებით "ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დაფუძნების და საჯარო სკოლის წესების დამტკიცების შესახებ" განსაზღვრულ სკოლის ტიპს და სახელს.

ინდიკატორი 1.1.1.6 დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები;
- სკოლის სტრატეგიული გეგმა;
- სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია ;
- სასკოლო სასწავლო გეგმა 2023-2024 წწ;
- სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტი 2024-2025 წწ;
- საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 13.09.2005-ის N448 ბრძანება "ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დაფუძნების და საჯარო სკოლის წესების დამტკიცების შესახებ".

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება

1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

1. სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს;
2. სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს;
3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას;
4. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ინდიკატორი 1. სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს;



სკოლამ წარმოადგინა სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმის შემუშავების მეთოდოლოგია, რომლის მიზანია აღწეროს სკოლის სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების, განხორციელებისა და შეფასების მიდგომები, მოთხოვნები და სამუშაო პროცესები. აღნიშნული მეთოდოლოგიის თანახმად, სკოლა მისიასა და ხედვაზე დაფუძნებით შეიმუშავებს სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმას. მეთოდოლოგიის თანახმად, სკოლის სტრატეგიული დაგეგმვის პროცესი ემყარება გუნდური მუშაობის, თანამონაწილეობის, გამჭვირვალობისა და სამართლიანობის პრინციპებს. ასევე, განსაზღვრულია სტრატეგიულ დაგეგმვაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულები და პირები. მეთოდოლოგიის დოკუმენტი მოიცავს სასკოლო საზოგადოებისა და ჩართული მხარეების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებსაც. მეთოდოლოგიაში განსაზღვრულია, თუ რა გზას გადის დაწესებულება სტრატეგიული დაგეგმვის თითოეული ციკლის პროცესში.

ინდიკატორი 1.2.1.1. დაკმაყოფილებულია.

ინდიკატორი 2. სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს;

სკოლის განვითარების სტრატეგიული გეგმა შვიდწლიანია. სტრატეგიული გეგმა არის ციკლური და წარმოადგენს მისიისა და ხედვის რეალიზაციის გზას. სტრატეგიული მიზნები შეესაბამება სკოლის მისიას, ხოლო ამოცანები - სტრატეგიულ მიზნებს უკავშირდება. აღნიშნულ წლებში სკოლის სტრატეგიული მიმართულებებია: სასწავლო პროცესის ხარისხის ამაღლება, ადამიანური რესურსის განვითარება, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება, უსაფრთხო, ორგანიზებული და დისციპლინირებული გარემოს უზრუნველყოფა; სასკოლო საზოგადოების ჩართულობა; მოსწავლეთა მხარდაჭერის გაუმჯობესება; ორგანიზაციული განვითარება. თითოეული სტრატეგიული მიმართულება, თავის მხრივ, იყოფა ამოცანებად და შეესაბამება სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

ინდიკატორი 1.2.1.2. დაკმაყოფილებულია.

ინდიკატორი 3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას;

ერთწლიანი სამოქმედო გეგმა გამომდინარეობს 2023 – 2030 წლების სტრატეგიული განვითარების შვიდწლიან გეგმიდან, სკოლის მისიიდან და სკოლის სტრატეგიული მიზნებიდან. არსებულ სამოქმედო გეგმაში აღწერილია ამოცანები, რომელთა

მიზნებია (სულ ხუთი) : უსაფრთხო ფიზიკური, ფსიქოლოგიური, ინკლუზიური და ორგანიზებული სასწავლო გარემო, სკოლის ორგანიზაციული რგოლების განვითარება, სასწავლო პროცესის ხარისხის ამაღლება , მოსწავლეების და სასწავლო პროცესის მხარდაჭერა და სასკოლო საზოგადოების ჩართულობა.

ინდიკატორი 1.2.1.3. დაკმაყოფილებულია.

ინდიკატორი 4. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.

სკოლის 2023-2024 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმაში ამოცანების შესაბამისი აქტივობები დეტალური და სტრუქტურირებულია. შესრულების ვადები, პასუხისმგებელი პირები, შესრულების ინდიკატორები თუ შესაბამისი რესურსები მკაფიოდ განსაზღვრავს სკოლის მიერ განსახორციელებელ დაგეგმილ აქტივობებს.

ინდიკატორი 1.2.1.4. დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია;
- სტრატეგიული განვითარების შვიდწლიანი გეგმა ;
- ერთწლიანი სამოქმედო გეგმა (2023-2024 სასწავლო წელი)

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

1. სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს;
2. მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით; *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*
3. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა; *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*

4. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის. *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ინდიკატორი 1. სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის დოკუმენტი მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს:

სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიაში გაწერილია, რომ შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმის შესრულების ანგარიში განხორციელდება ყოველ 3 წელიწადში, ახალი სტრატეგიული გეგმის შემუშავებამდე. ანგარიშის სახით მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით შეივსება ცხრილი თითოეული სტრატეგიული მიმართულების, ამოცანის, აქტივობის შესრულებასთან დაკავშირებით და საბოლოოდ, გაკეთდება განხორციელებული მონიტორინგის შედეგების ანალიზი. სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების ანგარიშები, განიხილება სამეურვეო საბჭოს სხდომაზე და საჯაროობის უზრუნველყოფის მიზნით, განთავსდება სკოლის ვებ-გვერდზე. ერთწლიანი სამოქმედო გეგმის მონიტორინგი ხორციელდება სასწავლო წლის განმავლობაში პერიოდულად, სასწავლო წლის ბოლოს სამოქმედო გეგმის შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები წარმოადგენენ წერილობით ანგარიშებს.

ინდიკატორი 1.2.2.1 დაკმაყოფილებულია.

ინდიკატორი 2. მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით;

სკოლა სამომავლოდ უზრუნველყოფს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგების საჯაროობას. სკოლის ვებ გვერდისა და სოციალური ქსელების საშუალებით.

ინდიკატორი 1.2.2.2 დაკმაყოფილებულია.

ინდიკატორი 3. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა.

ვინაიდან სკოლა გადის პირველად ავტორიზაციას, აღნიშნული ინდიკატორები ვერ ხორციელდება, თუმცა სტრატეგიული განვითარების გეგმის შემუშავების მეთოდოლოგიის თანახმად, ანგარიშის საჯაროობას უზრუნველყოფს ის, რომ სკოლა სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შესრულების ანგარიშს წარუდგენს სამეურვეო საბჭოსა და პედაგოგიურ საბჭოს. ანგარიში იქნება გასაჯაროებული სასკოლო სივრცეში და სკოლის სოციალურ გვერდზე.

ინდიკატორი 1.2.2.3 დაკმაყოფილებულია.

ინდიკატორი 4. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის.

ინდიკატორი 1.2.2.4 არ ფასდება პირველადი ავტორიზაციის გამო.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია;
- გრძელვადიანი განვითარების სტრატეგიული გეგმა (2023-2030 წწ.);
- ერთწლიანი სამოქმედო გეგმა (2023-2024 სასწავლო წელი)

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

3.1. პერსონალის მართვა

3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

1. მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების სკოლაში ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;
2. სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ინდიკატორი 1. მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების სკოლაში ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;

თორტიზის სკოლა სარგებლობს დირექტორის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დამტკიცებული ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტით, რომელშიც გაწერილია საჯარო სკოლისთვის განსაზღვრული ორგანიზაციული სტრუქტურის სავალდებულო რგოლების ფუნქცია- მოვალეობები. სკოლის მართვის დემოკრატიული მიდგომები დაცულია სკოლის ყველა სტრუქტურაში. სკოლის ორგანიზაციული სტრუქტურა მოიცავს:

- დირექცია:დირექტორი და ბუღალტერი;
- ადმინისტრაცია:საქმისმწარმოებელი და ბიბლიოთეკარი;
- ტექ. პერსონალი: დარაჯი, დამლაგებელი, ექიმი.
- პედაგოგიური საბჭო: 22 მასწავლებელი. 20 - უფროსი, 2- წამყვანი, აქედან 1 - სპეციალური მასწავლებელი. კათედრა, სამეურვეო საბჭო. დისციპლინური კომიტეტი, მრჩეველთა საბჭო, ხარისხის განვითარების ჯგუფი, მოსწავლეთა
- თვითმმართველობა.

სკოლამ წარმოადგინა დასაქმებული პირების შრომითი ხელშეკრულები.

გასაუბრებიდან დადგინდა, რომ სკოლის თანამშრომლებს გაცნობიერებული აქვთ თავიანთი ფუნქციები და მოვალეობები.

ინდიკატორი 3.1.1.1 დაკმაყოფილებულია.

ინდიკატორი 2. სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.

სკოლის მასწავლებლების კვალიფიკაცია შესაბამისობაშია ზოგადი განათლების შესახებ კანონის მოთხოვნებთან. სკოლის თანამშრომელთა თანამდებობრივ ინსტრუქციებში ფუნქციები გადანაწილებულია სკოლის ძირითადი მიზნებისა და ამ მიზნების შესაბამისი ამოცანების შესრულებაზე პასუხისმგებელი პირის საჭირო ადამიანური რესურსის ფუნქციების შესაბამისად. სტრუქტურული ერთეულების ფუნქციები მოიცავს ყველა იმ სფეროს, რომელიც სკოლის მიზნებისა და ძირითადი საქმიანობის შესრულებას უკავშირდება. სკოლის დირექტორის ბრძანებით სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის მიზანია “უზრუნველყოს დაწესებულების ადამიანური რესურსების მართვის პროცესების წარმართვა ეფექტიანად და კანონთან, დაწესებულების მისიასთან, ხედვასა და ღირებულებებთან შესაბამისობით, ასევე, შექმნას გარემო, რომელიც უზრუნველყოფს დასაქმებული პირების შესაძლებლობების მაქსიმალურ წარმოჩენასა და რეალიზებას.”

ინდიკატორი 3.1.1.2 დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- უფროსი მასწავლებლის ხელშეკრულება;
- წამყვანი მასწავლებლის ხელშეკრულება;
- სკოლის სტრუქტურული ერთეულების სამუშაო აღწერილობა;
- ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა;
- სკოლის სტრუქტურა.

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

1. პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად;
2. სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა;
3. პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალების პრინციპების დაცვით;
4. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს;
5. პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს;
6. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ინდიკატორი 1. პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად;

“ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა” დამტკიცებულია სსიპ-ქალაქ გორის თორტიზის საჯარო სკოლის დირექტორის 2024 წლის 9 სექტემბრის N2ს/-31 ბრძანებით. აღნიშნული დოკუმენტის მიხედვით, ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის ამოცანებია:

- დაწესებულების სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების მიღწევის ხელშეწყობა;
 - დასაქმებული პირების შესაძლებლობების მაქსიმალური წარმოჩენა და რეალიზება;
 - დასაქმებული პირების პროფესიული განვითარების ხელშეწყობა.
- აღნიშნული დოკუმენტი მთლიანად ეფუძნება საქართველოში მოქმედ კანონმდებლობას, კერძოდ :
- საქართველოს შრომის კოდექსს;
 - „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონს;
 - „ეროვნული სასწავლო გეგმის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 18 მაისის №40/ნ ბრძანებას;
 - „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დაფუძნებისა და საჯარო სკოლის წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბერი №448 ბრძანებას;
 - „მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემით განსაზღვრული სტატუსების დანამატების, ასევე საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა დანამატების მასწავლებლებზე გაცემის მიზნით საჯარო სკოლებისათვის ყოველთვიურად დამატებითი დაფინანსების გამოყოფის წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2015 წლის 18 დეკემბრის №163/ნ ბრძანებას;
 - „საჯარო სკოლების მასწავლებელთა შრომის ანაზღაურების მინიმალური ოდენობისა და პირობების დადგენის თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2015 წლის 28 სექტემბრის №126/ნ ბრძანებას;
 - „მასწავლებლის პროფესიული სტანდარტის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2008 წლის 21 ნოემბრის №1014 ბრძანებას;
 - „საჯარო სკოლის დირექტორის სტანდარტის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2020 წლის 31 იანვრის №15/ნ ბრძანებას;
 - „სკოლის დირექტორის ეთიკის კოდექსის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 30 აგვისტოს №80/ნ ბრძანებას;
 - „მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 23 მაისის №241 დადგენილებას;
 - „მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 აგვისტოს №174/ნ ბრძანებას.

ინდიკატორი 3.1.2.1 დაკმაყოფილებულია

ინდიკატორი 2. სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა;

სკოლის დირექტორთან გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ ნებისმიერი დასაქმებული პერსონალის არყოფნის შემთხვევაში ხდება მისი ფუნქციების გადანაწილება სხვა დასაქმებულზე. მაგალითად, მასწავლებლის არყოფნის შემთხვევაში საათები გადანაწილდება შესაბამისი საგნობრივი ჯგუფის სხვა მასწავლებელზე, ისე რომ არ სეფერხდება სასწავლო პროცესი.

ინდიკატორი 3.1.2.2. დაკმაყოფილებულია.

ინდიკატორი 3. პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალების პრინციპების დაცვით;

“ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის” დოკუმენტში ცალკე მუხლი 10 -ში “ კადრების მოზიდვა და შერჩევა”

გაწერილია პერსონალის შერჩევის პროცედურების მთელი ციკლი დეტალურად. სკოლას არ ჰყავს დასაქმებული საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 აგვისტოს ბრძანება №174/ნ საფუძველზე, კონკურსით შერჩეული ახალი მასწავლებლები. შესაბამისად თანამშრომლებს არა აქვთ: “ „სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის შესახებ -შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოების მიერ გაცემული დოკუმენტები.

სკოლის პერსონალთან გაფორმებულია შესაბამისი ხელშეკრულებები. თანამშრომლებს წარმოდგენილი აქვთ „ნასამართლეობის შესახებ” - შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოების მიერ გაცემული დოკუმენტები.

ინდიკატორი 3.1.2.3. დაკმაყოფილებულია.

ინდიკატორი 4. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს;

სკოლის პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება კანონით გათვალისწინებულ მოთხოვნებს და სკოლის მიერ დადგენილ ნორმებს.

თითოეული საგნის პედაგოგს აქვს შესაბამისი განათლება, რაც დასტურდება შესაბამისი დოკუმენტაციით:

წარმოდგენილ იქნა თანამშრომელთა პირადი საქმეები, რომლებშიც განთავსებული იყო მათი განათლებისა და კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტები. პირადობის მოწმობის ან პასპორტის ასლი; CV ან ავტობიოგრაფია; ფოტოსურათი ზომით 3X4; განათლებისა და კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტის ნოტარიულად დამოწმებული ასლი; ცნობა ნასამართლეობის შესახებ; ვიზიტის პერიოდში ექსპერტთა მიერ შემთხვევითობის პრინციპით გადამოწმდა მასწავლებელთა შრომითი ხელშეკრულებები, რომელიც

დადებულია სტატუსის შესაბამისად, მოიცავს ყველა სავალდებულო პუნქტს. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას.

სკოლაში დასაქმებულ მასწავლებლებთან, ტექნიკურ პერსონალთან და სხვა თანამშრომლებთან გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულებები, რომელიც შეესაბამება საქართველოს შრომის კოდექსსა და მოქმედ კანონმდებლობას. რაც შეეხება ექიმს, ვიზიტის

პერიოდში სკოლას ჰყავდა ერთი ექიმი.მისი კვალიფიკაცია შეესაბამებოდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივ 2022 წლის 21 მარტის ბრძანების №41/ნ/01-23/ნ გათვალისწინებულ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს. [პერსონალის პირადი საქმეები, სასურველია სისტემატიზებულ იქნას დაწესებულებაში დამტკიცებული საქმისწარმოების წესის შესაბამისად .](#)

ინდიკატორი 3.1.2.4. დაკმაყოფილებულია.

ინდიკატორი 5. პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს;

სკოლის მიერ წარმოდგენილი სტრუქტურული ერთეულების და კოლეგიური სტრუქტურული ერთეულების (პედაგოგიური საბჭო,

საგნობრივი კათედრები, მოსწავლეთა თვითმმართველობის, მშობელთა კომიტეტის, ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის) მუშაობის დამადასტურებელი ოქმებით დგინდება, რომ სკოლაში მოქმედი სამუშაო ჯგუფები და სტრუქტურული ერთეულები მუშაობენ გუნდურობის პრინციპით. როგორც ოქმების შესწავლისა და საგნობრივ მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგად დადგინდა, საგნობრივი კათედრის თითოეული წევრი ჩართულია კურიკულუმების შემუშავების პროცესში. კათედრის წევრებს შორის ხდება გამოცდილების გაზიარება, ერთად გეგმავენ სხვადასხვა პროექტებს.

კათედრების მუშაობამ და ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულებების, კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის, სასკოლო სასწავლო გეგმის შემუშავების პროცესის ანალიზით და მასწავლებლებთან გასაუბრებით გამოიკვთა, რომ სკოლაში ნამდვილად დამკვიდრებულია მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპები.

ინდიკატორი 3.1.2.5. დაკმაყოფილებულია.

ინდიკატორი 6. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი.

სკოლა თორტიზის მარეგულირებელ დოკუმენტებში ვხვდებით წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმებს, რომელთა განხორციელების პროცესებზე ისაუბრა სკოლის ადმინისტრაციამ.

სკოლის შინაგანაწესის მიხედვით განსაზღვრულია დასაქმებულთა, მათ შორის მასწავლებელთა მასწავლებელთა წახალისების ფორმები და დისციპლინური პასუხისმგებლობა. მასწავლებელს სამუშაო მოვალეობების სანიმუშო შესრულებისათვის, კეთილსინდისიერი მუშაობისათვის, ნოვატორობისათვის, ამოსწავლეების სწავლებასა და აღზრდაში მიღწეული წარმატებებისთვის გამოიყენება წახალისების



შემდეგი სახეები: მადლობის გამოცხადება; ერთჯერადი ფულადი პრემიის გაცემა; სერტიფიკატის გადაცემა; ფასიანი საჩუქრით დაჯილდოება. წახალისება ხდება წერილობითი ბრძანების ფორმით. ინფორმაცია სკოლის წარმატებების, თანამშრომლების წარმატების, მათი მიღწევებისა და გამორჩეული აქტივობების შესახებ ქვეყნდება სკოლის სოციალურ ქსელში და ვებგვერდზე.

ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტში 21-ე მუხლით “თანამშრომელთა მოტივაცია” განსაზღვრულია წახალისებისა და გაზიარების მექანიზმები.

სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია “ ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი“. რომელიც

ახორციელებს მასწავლებლების შეფასებას. სკოლა თანამშრომელთა საჭიროებების გამოვლენას ახორციელებს ანალიზის საფუძველზე, რომელშიც ეხმარება შემდეგი სახის შეკითხვები: • რა ძლიერი და სუსტი მხარეები აქვთ თანამშრომლებს ? • რა შესაძლებლობები და საფრთხეები არსებობს, რომლებმაც შესაძლოა, ზეგავლენა მოახდინონ თანამშრომლების საქმიანობაზე? სკოლა საქმიანობის შეფასებისა და პროფესიული განვითარების მექანიზმად უკვე წლებია იყენებს გაკვეთილებზე დასწრებას, პრობლემების იდენტიფიცირებას, რჩევების მიცემას, განმავითარებელ უკუკავშირს.

ასევე კათედრის დებულებით განსაზღვრულია კათედრის ფუნქციები, მათ შორის არის კათედრის წევრთა შორის გამოცდილების გაზიარება, წარმატებების წინაპირობათა განსაზღვრა და პრობლემების გადაჭრის გზების ძიება. როგორც სკოლის წარმომადგენლებმა გასაუბრებისას აღნიშნეს, სკოლა წარმატებული გამოცდილების გაზიარებისთვის იყენებს საკუთარ რესურსსაც, რამდენადაც სკოლას ჰყავს საგნობრივი ექსპერტის სტატუსის მქონე მასწავლებლები, რომლებიც კოლეგებს წარმატებულ გამოცდილებას უზიარებენ, რაც მათ პროფესიულ განვითარებაშიც ეხმარება.

ინდიკატორი 3.1.2.6. დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის შინაგაწესი
- ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი“
- ხარისხის მართვის ჯგუფის შექმნის ბრძანება
- ხარისხის მართვის ჯგუფის ოქმები;
- კათედრის დებულება;

- კათედრის ოქმები;

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3.2. პერსონალის განვითარება

3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

1. სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები;
2. პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად; *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*
3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას;
4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;
5. წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ინდიკატორი1. სკოლას აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები;

პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებას თორტიზის სკოლა უზრუნველყოფს დაწესებულებაში დანერგილი ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი მუშაობით. მასწავლებლები ერთმანეთს ესწრებიან საგაკვეთილო ან

არაფორმალურ აქტივობებზე დასწრების ფორმით. სკოლას შემუშავებული აქვს გაკვეთილის დაკვირვების რუბრიკა, თვითშეფასებისა და უკუკავშირის კითხვარები/ფორმები. ხშირია კლასტერული დასწრებები.

ინდიკატორი 3.2.1.1. დაკმაყოფილებულია.

ინდიკატორი 3. პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად;

დაწესებულებაში დამკვიდრებული ხარისხის მართვისა და მხარდაჭერის სიტემა, იძლევა იმის საშუალებას, რომ უკუკავშირისა და ანალიზის შედეგად, მასწავლებლების მხრიდან გამოვლენილი საჭიროებების დასაკმაყოფილებლად, დირექციამ დასახოს გეგმა, რომლის შესაბამისად ხდება პერსონალის განვითარება. ამიტომაც, ხშირად თორტიზის სკოლის მასწავლებლები ესწრებიან მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ტრენინგებს, ონლაინ ვებინარებს, უზიარებენ ერთმანეთს გამოცდილებას, კითხულობენ და ეცნობიან ახალ მეთოდოლოგიურ მასალებს, საიხლეებს (ტექნოლოგიური, საკანონმდებლო). **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

ინდიკატორი 3. სკოლაში არსებობს პერსონალის განვითარების გეგმა.

სკოლის ხელმძღვანელობა აცნობიერებს ორგანიზაციის სტრატეგიული განვითარების პროცესში პერსონალის განვითარების სტრატეგიისა და გეგმის მნიშვნელობას.

სკოლის დირექციას აქვს წარმოდგენილი , რამდენად უნდა უწყობდეს ხელს პერსონალის კარიერულ ზრდას; სკოლის

პედაგოგები, თუ სხვა პერსონალი აქტიურად მინაწილეობენ სხვადასხვა პროგრამისა თუ პროექტის ფარგლებში ტრენინგებში,

შეხვედრებსა თუ ფიკუს-ჯგუფების სამუშაო პროცესში. აღნიშნული პროცესი სკოლის ადმინისტრაციის მხრიდან წახალისებული და მხარდაჭერილია.

პროფესიულ განვითარებაში ეწყობა ხელი არა მხოლოდ მასწავლებლებს, არამედ დირექციისა და ადმინისტრაციის წარმომადგენლებს, აღნიშნული მიმართულებით აქტივობები გაწერილი აქვს სკოლას ერთწლიან სამოქმედო გეგმაში და არსებულ ექვსწლიან სტრატეგიულ გეგმაში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

ინდიკატორი 4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;

სკოლა ხელს უწყობს და უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან; ადაპტაციის წესი, რომელიც სკოლამ 2023 წლის 22 ნოემბერს № 2ს/34 ბრძანების საფუძველზე დაამტკიცა არეგულირებს თანამშრომელთა ადაპტაციის პროცესს. სკოლის საქმიანობა ეყრდნობა ადამიანური რესურსების მართვის მხრივ არსებულ კანონმდებლობას. როგორც სკოლის თვითშეფასების ანგარიშიდან ჩანს და ვიზიტის დროსაც გამოიკვეთა, რომ სკოლაში ყველა თანამშრომელს თანაბარი შესაძლებლობა აქვს ისარგებლოს სკოლის რესურსით. სკოლას შემუშავებული აქვს ბიბლიოთეკის დებულება; სკოლის პერსონალს აქტიურად მიეწოდება ყველა საჭირო ინფორმაცია, როგორც პროფესიული განვითარების შესაძლებლობის მხრივ, ისე სკოლაში მიმდინარე პროცესების შესახებ.

სკოლაში წახალისებულია არაფორმალური ურთიერთობების ინიციატივები, რაც თავის მხრივ ამტკიცებს თანამშრომელთა ჯანსაღ, კოლეგიალურ პარტნიორობას ფორმალურ საქმიანობაში.

ინდიკატორი 3.2.1.4. დაკმაყოფილებულია.

5. ინდიკატორი წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

სკოლის მიდგომა პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებით წამახალისებელ აქტივობებს ითვალისწინებს. ხშირია დირექტორის მხრიდან უკუკავშირი ყოველი არაფორმალური აქტივობის განხორციელებისას ან ახალი იდეების დანერგვის გამო.

ინდიკატორი 3.2.1.5. დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ხარისხის განვითარების ჯგუფის შექმნის ბრძანება;
- პერსონალის ადაპტაციის წესი.

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3.3. პროცესების მართვა

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად და ეფუძნება პროცესულ მიდგომასა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს;
2. იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები;
3. სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა;
4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ინდიკატორი 1 . სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად და ეფუძნება პროცესულ მიდგომასა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს; შემუშავებული აქვს სასწავლო პროცესის ხარისხის პოლიტიკის დოკუმენტი, რომლის მიზანია განვითარების ხარისხის მუდმივი მონიტორინგი, შეფასება და პროგრესი.

სკოლის შიდა შეფასების პროცესი მოიაზრებს შემდეგ ეტაპებს: დაგეგმე, განახორციელე, შეამოწმე, განავითარე. წარმოდგენილი დოკუმენტის მიხედვით ხარისხის მუდმივი სრულყოფა გულისხმობს სასწავლო და ადმინისტრირების პროცესების გაუმჯობესებას რეგულარული ან მუდმივი შემოწმების გზით, რისთვისაც სკოლის მიერ გამოყენებული უნად იყოს მონაცემთა ანალიზი. სკოლის ხარისხის განვითარება ფასდება სკოლის საქმიანობის შედეგის ექვს მნიშვნელოვან ინდიკატორზე დაფუძნებით: 1. მოსწავლეთა აკადემიური მოსწრება; 2. არსებული სასწავლო პროგრამების და სადამრიგებლო გეგმების მუდმივი მონტორინგი, განახლება, მოდიფიცირება; 3. პოზიტიური უსაფრთხო საკლასო/სასკოლო გარემო; 4. მასწავლებელთა პროფესიული განვითარება; 5. კომუნიკაცია სასკოლო საზოგადოებასთან. მოსწავლეების, მასწავლებლების, მშობლების და თემის წევრების სკოლისადმი განწყობების შესწავლა. სკოლაში დაგეგმილი და განხორციელებული სასკოლო აქტივობების ხარისხით მოსწავლეთა კმაყოფილების კვლევა; 6. სკოლის მარეგულირებელი დოკუმენტების შესაბამისობა საკანონმდებლო აქტებთან, განათლების პოლიტიკასთან. სკოლის საქმიანობის მარეგულირებელი აქტების ეფექტიანად დანერგვა/ამოქმედება. სკოლის ადმინისტრაციის მიერ ამ პროცესების უზრუნველყოფისათვის აწარმოებს მოსწავლეთა შედეგების სტატისტიკას, აანალიზებს მასწავლებელთა ანგარიშებს, რის შედეგადაც ხდება არსებული პროცესების შეფასება, საჭიროებების იდენტიფიცირება შესაბამისი აქტივობების დაგეგმვა.

ინდიკატორი 3.3. 1. 1. დაკმაყოფილებულია.

ინდიკატორი 2. იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები;

სკოლაში ხორციელდება როგორც მმართველობითი, ძირითადი, ასევე დამხმარე პროცესები. მთლიანად მოსწავლეზე ორიენტირებულია სასკოლო სასწავლო გეგმის შემუშავება და დანერგვა. ყველა სხვა პროცესი, როგორც არის ინფრასტრუქტურის მართვა, ფინანსური მართვა, საკადრო საკითხები განიხილება, როგორც დამხმარე პროცესები ძირითადი საგანმანათლებლო საქმიანობის ხელშეწყობისთვის. სკოლა საკუთარი შესაძლებლობების შესაბამისად იყენებს ფინანსებს, ინფრასტრუქტურას, ადამიანურ რესურსს, რათა წლიდან წლამდე მოხდეს სასწავლო პროცესის ხარისხის გასაუმჯობესება.

ინდიკატორი 3.3.1.2. დაკმაყოფილებულია

ინდიკატორი 3. სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა;

სკოლის სამეურვეო საბჭო ამტკიცებს დისციპლინური კომიტეტის წევრებს მშობელთა და მოსწავლეებთან შემადგენლობით. აღნიშნული კომიტეტი მისი უფლება-მოვალეობების ფარგლებში ახდენს დისციპლინური გადაცდომების მოკვლევას და დისციპლინური სახდელების დაკისრებას. დისციპლინური კომიტეტის გადაწყვეტილების, ასევე სკოლის დირექტორის ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტის გასაჩივრება შესაძლებელია სამეურვეო საბჭოსა და სასამართლოში. გასაჩივრების მექანიზმის შესახებ ინფორმირებულია სასკოლო საზოგადოება.

სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები.

ინდიკატორი 3.3.1.3. დაკმაყოფილებულია

ინდიკატორი 4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები.

პერსონალისა და მოსწავლეთა უფლება-მოვალეობები გაწერილია სკოლის შინაგანაწესსა და შრომით ხელშეკრულებებში. მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის უფლებები კი განსაზღვრულია მოსწავლის მშობელთან გაფორმებული ხელშეკრულებით. მოსწავლეებისთვის სკოლას აქვს შემუშავებული გასაჩივრების წესი. შინაგანაწესით გაწერილია, ასევე, პერსონალის სამუშაოზე აყვანის პროცესში, თანამშრომლისთვის და მშობლებისათვის მათი უფლება-მოვალეობების და შიდასასკოლო რეგულაციების გაცნობის ვალდებულება. პერსონალისა და მშობლების/მოსწავლეთა კანონიერი წარმომადგენლების უფლებების დაცვას ასევე უზრუნველყოფს სკოლაში შემუშავებული საჩივრების განხილვის სისტემა, რომლის თანახმად მოსწავლეს, მშობელსა და მოსწავლეებელს უფლება აქვთ, თავიანთი უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად გაასაჩივრონ სკოლის პერსონალის არამართლობითი ქმედებები, ასევე, სკოლის ადმინისტრაციის მიერ მიღებული ნებისმიერი გადაწყვეტილება, თუ მიაჩნიათ, რომ ილახება საქართველოს კანონმდებლობით ან/და სკოლის შიდა რეგულაციებით მათთვის გარანტირებული უფლებები.

ინდიკატორი 3.3.1.4. დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი
- განცხადებისა და საჩივრის განხილვის წესი
- სკოლის შინაგანაწესი

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

1. სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები;
2. უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ინდიკატორი 1. სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები;

სკოლა უზრუნველყოფს დაინტერესებული მხარეების ჩართვას სკოლის სტრატეგიული და ერთწლიანი სამოქმედო გეგმებისა და სასკოლო სასწავლო გეგმის შემუშავებაში. სკოლა უზრუნველყოფს საჯარო დოკუმენტების ხელმისაწვდომობას სკოლის ვებ გვერდზე ატვირთვით. თორტიზის სკოლაში ძლიერი დამრიგებლის ინსტიტუტი. დამრიგებლის პორტფელიოში გვხვდება მსობელთა კრებების ოქმები, სადაც კარგად ჩანს სასკოლო საზოგადოების ჩართულობა - მშობლების თემის სახით. საინფორმაციო შეხვედრებზე მშობლებთან სკოლა იღებს უკუკავშირის სკოლის პრიორიტეტული საკითხების შესახებ და შემდგომ რეაგირებს. სკოლა აპირებს უკუკავშირის მიღების ერთ-ერთი მექანიზმის კითხვარების გამოყენებით ჩატარებას. ვიზიტის პერიოდში დირექციას უკვე გამზადებული ჰქონდა კითხვარის ფორმა.

ინდიკატორი 3.3.2.1. დაკმაყოფილებულია.

ინდიკატორი 2. უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა.

სკოლაში საზოგადოების ჩართულობის ხარისხის ზრდისა და კოლეგიალური ორგანოების ქმედუნარიანობისთვის ფუნქციონირებს სამეურვეო საბჭო, პედაგოგიური საბჭო, საგნობრივი კათედრები, მრჩეველთა საბჭო, დისციპლინური

კომიტეტი, მოსწავლეთა თვითმმართველობა. შემუშავებულია თითოეული რგოლის დებულებები, რომლებშიც გაწერილია მათი ფუნქციები, არჩევის წესი, ფუნქციონირება, უფლებამოსილებები და ა.შ.

ინდიკატორი 3.3.2.2. დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სამეურვეო საბჭოს ოქმი;
- მრჩეველთა საბჭოს ოქმი;
- მშობლის კითხვარი
- ვებ. გვერდი;
- დამრიგებლების პორტფოლიო;

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

1. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო

უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური (სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში);

2. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას;
3. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას;
4. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს;
5. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას;
6. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას;
7. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები;
8. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის. *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ინდიკატორი 1. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილი ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილი უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური (სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში);

ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის მიზნით თორტიზის სკოლას 29/12/2023 წელს აქვს დამტკიცებული დოკუმენტი - „ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება“. სკოლაში დასაქმებულია დარაჯი, რომელიც უზრუნველყოფს სკოლის შენობის და დასაქმებულ პირთა უსაფრთხოებას. სკოლაში მოქმედებს მასწავლებელთა მორიგეობა. სკოლაში სასკოლო საზოგადოებისთვის შექმნილია უსაფრთხო გარემო, შენობა აღჭურვილია შიდა და გარე

პერიმეტრზე კამერებით, სახანძრო ინვენტარით, კვამლის დეტექტორებით. ბრძანებით განსაზღვრულია სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების შესრულებაზე პასუხისმგებელი პირი. გამოყოფილია უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი, ტარდება საკლასო და სასკოლო აქტივობები შემდეგ საკითხებზე: ძალადობის, ოჯახში ძალადობის, ადრეულ ქორწინებაზე, ბულინგის წინააღმდეგ, ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია და სხვა. სკოლის ეზო შემოღობილია და დაცულია უცხო პირთა შესვლისგან; სკოლა აწარმოებს ვიზიტორთა ჟურნალს; დაწესებულებას ჰქონდა საევაკუაციო გეგმა და ცეცხლმაქრები (გადამუხტული); თორტიზის სკოლას გაგზავნილი აქვს მიმართვა შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ.

სკოლამ ვიზიტის დროს წარმოადგინა პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის წესი. სკოლის პირველ სართულზე განთავსებული იყო ექიმის კაბინეტი, რომელიც პასუხობს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივი 2022 წლის 21 მარტის ბრძანების №41/ნ/01-23/ნ შესაბამის მოთხოვნებს. ოთახში არის ბუნებრივი განათებისა და განიავების შესაძლებლობა, სველი წერტილი ნიჟარით. კაბინეტში განთავსებულია შემდეგი ინვენტარი: სამუშაო მაგიდა, სკამები, მაცივარი, სასწორი, საათი, სამედიცინო ტახტი, კარადა, გადასატანი/მოხილური ტახტი (ტაფჩანი), კარადა, სადაც განთავსებული იყო პირველადი მოხმარების მედიკამენტები, პაციენტის გასინჯვის პრივატულობის უზრუნველსაყოფად გამოყოფი შირმა. ექიმმა წარმოადგინა გაწეული სამედიცინო მომსახურების სააღრიცხვო ფორმა და სამედიცინო შემთხვევების აღრიცხვის ჟურნალი. ექიმის კვალიფიკაცია შეესაბამებოდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივი 2022 წლის 21 მარტის ბრძანების №41/ნ/01-23/ნ გათვალისწინებულ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს.

სკოლამ, თვითშეფასების ანგარიშთან ერთად წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლის 3.4.1.1. ინდიკატორში იყო ჩანაწერი: “ა) სკოლას არ აქვს საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სამსახურთან შეთანხმებული შესაბამის უწყებასთან.

ბ) სკოლას არა აქვს უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა.”

“ ა) პუნქტთან” მიმართებაში: სკოლამ საგანგებო სიტუაციის მართვის გეგმაზე დაიწყო ზრუნვა, რის მტკიცებულებადაც შესაძლოა ჩაითვალოს სკოლის მიერ წარმოდგენილი საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან შესათანხმებელი საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა და ა/წლის 7 ივნისის № 636138 წერილი მიწერილი შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის უფროსის სახელზე.

“ბ) პუნქტის” შემთხვევაში სკოლამ წარმოადგინა კორესპონდენცია 13/03/2024 № MES 7 24 0000300328 სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს სახელზე. წერილში თორტიზის სკოლის დირექტორი განმარტავს გარემოებას, რომ “სოფელ თორტიზის საჯარო სკოლას 2018 წელს სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ მიღება-ჩაბარებით გადმოეცა ახალი აშენებული თანამედროვე სტანდარტების სკოლის შენობა და

წერილით ითხოვს, შენობის მდგრადობის დასკვნის არებობის შემთხვევაში, აღნიშნული დოკუმენტის გაზიარებას. ასევე, სკოლამ 25/01/2024 წელს № MES 5 24 0000069496 წერილით მიმართა სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს საინჟინრო დეპარტამენტს თხოვნით შეისწავლონ სკოლის შენობის ტექნიკური მდგომარეობა და მის შესაბამისად განსაზღვრონ შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოება.

აღნიშნულის გათვალისწინებით სკოლამ წარმოადგინა უზრუნველყოფის გეგმა, რომლის მიხედვით დაწესებულება უზრუნველყოფს დასკვნის მომზადებას შენობა-ნაგებობების ექსპლუატაციის შესახებ - 16.10.2025 წლამდე; ფასდება როგორც მეტწილი შესაბამისი.

ინდიკატორი 2. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას;

სკოლას ჰყავს ექიმი . სკოლას ჰყავს კვალიფიციური კადრი. თანამშრომელს წარმოდგენილი აქვს შესაბამისი სერტიფიკაციები სამედიცინო კაბინეტი ფუნქციონირებს საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების/სკოლების სამედიცინო პერსონალის საქმიანობის სტანდარტისა და საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში/სკოლებში სამედიცინო მომსახურების სივრცის (კაბინეტი/პუნქტი) ფუნქციონირების წესის დამტკიცების შესახებ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივი ბრძანება N41/ნ/01-23/ნ 2022 წლის 21 მარტის შეაბამისად. სკოლას აქვს პირველადი დახმარებათვის ყველა საჭირო ინვენტარი, მედიკამენტები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას;

სკოლა საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის უზრუნველსაყოფად ხელმძღვანელობს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვისა და პირობებით; სკოლაში შემუშავებულია საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი , რომლის თანახმადაც უსაფრთხოების დაცვაზე პასუხისმგებელია კლასის ძირითადი მასწავლებელი, ექიმის რეკომენდაციის შემთხვევაში, არ ხდება მოსწავლის გაკვეთილებიდან განთავისუფლება მშობლისთვის შეტყობინების გარეშე. მაქსიმალურად არის შეზღუდული სკოლის ტერიტორიაზე უცხო პირების დაშვება, სკოლაში გამოვლენილ ნებისმიერ დარღვევაზე ხდება მყისიერი რეაგირება. გარდა ამისა აღნიშნული ინფორმაცია მოსწავლეებს, მშობლებს მიეწოდება სასწავლო წლის დასაწყისში დამრიგებლის საათებზე და მშობელთა კრებებზე.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს;



სკოლაში ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს უზრუნველყოფენ სასკოლო ცხოვრებაში ჩართული პირები, რომლებიც განახორციელებენ ძალადობის შემთხვევათა პრევენციულ ღონისძიებებს.

დამრიგებლებს ხშირი კონტაქტი აქვთ მშობლებთან. ყველა საგნის მასწავლებლის მუშაობა ფოკუსირებულია არა მარტო აკადემიური, არამედ ემოციური და სოციალური უნარების განვითარებაზე, მხარდაჭერილი მოსწავლეთა მხრიდან პრობლემებსა და გამოწვევებზე საუბარი, საჭიროების შემთხვევაში სკოლა რთავს საქმეში ფსიქოლოგს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

5. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას;

სკოლას აქვს ყველა საჭირო ინვენტარი და ჰიგიენური საშუალება, სკოლა შეიძლება სამაგალითოდ ჩაითვალოს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვით!!. სამაგალითო სისუფთავეა სველ წერტილებში, საკლასო ოთახებში, დერეფანსა და ფოიეში! სკოლაში გამიჯნულია ქალებისა და კაცების სველი წერტილები, არის ადაპტირებული სველი წერტილი, უწყვეტად მიეწოდება წყალი და განათება, აქვს ხელოვნური და ბუნებრივი ვენტილაცია, მუდმივად მარაგდება პირადი ჰიგიენის საშუალებებით(თხევადი საპონი, ტუალეტის და ხელსახოცი ქაღალდი)..

შენობის დათვალიერების შედეგად დგინდება, რომ არსებული წესების გათვალისწინებით სკოლაში მიმდინარეობს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის უზრუნველყოფა. აღჭურვილობა, დასუფთავების საშუალებები შენახულია წესის შესაბამისად. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

6. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას;

სკოლის მოსწავლეთა მშობლებსა და სკოლას შორის გასაფორმებელი ხელშეკრულებები მოიცავს რეგულაციებს მოსწავლის პერსონალური მონაცემების გამოყენების შესახებ. თორტიზის სკოლას აქვს შემუშავებული პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი და მონიტორინგის მექანიზმები, რომელიც აწესრიგებს პერსონალურ მონაცემთა სკოლის მიერ

მონაცემთა დამუშავების საკითხებს. სკოლას მიეცა რჩევა პერსონალური მონაცემების ოფიცრის აყვანის, რაც დარეგულირებულია ახალი კანონმდებლობის მიხედვით.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია .

7 სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები;

სკოლაში დაცულია ინფორმაცია სკოლის მოსწავლეების, მასწავლებლების, მშობლების შესახებ. სკოლას აქვს შემუშავებული და დამტკიცებული „პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი და მონიტორინგის მექანიზმები და დაწესებულება უზრუნველყოფს მის ხელთ არსებული მონაცემების დაცვას შემთხვევითი ან უკანონო განადგურების, მოპოვების, გამჟღავნების, დაკარგვის და ნებისმიერი სხვა ფორმით უკანონო გამოყენებისგან, ასევე იცავს ელექტრონული ინფორმაციის არავტორიზებული მომხმარებლის მიერ წვდომისა და დაზიანებისგან. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

8 სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის.

პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესში და მონიტორინგის მექანიზმებში გაწერილია მონაცემთა დაცვის მონიტორინგის ეტაპები და პასუხისმგებელი პირები: სკოლაში პერსონალური მონაცემების დაცვის მონიტორინგი სისტემატურად ხორციელდება სკოლის დირექტორის ბრძანებით განსაზღვრული მონიტორინგზე პასუხისმგებელი პირის მიერ, რომელიც ვალდებულია ჩაატაროს სისტემატური შეხვედრები დასაქმებულებთან/მოსწავლეებთან და გააცნოს პერსონალური მონაცემების დაცვის წესები. ასევე, გააფრთხილოს იმ ღონისძიებების შესახებ, რომლებიც გატარდება პერსონალური მონაცემების კანონის დარღვევით დამუშავებასთან/გამოყენებასთან/გამჟღავნებასთან დაკავშირებით. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ექიმის ხელშეკრულება
- სპეცმასწავლებლის ხელშეკრულება
- პერსონალურ მონაცემთა დაცვაზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის შესახებ ბრძანება
- პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი
- წერილი ინფრასტრუქტურის სააგენტოს სახელზე.
- ხელშეკრულებები ტექნიკურ პერსონალთან;
- სახანძროს მოწერილობა;

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☐ შეესაბამება
- ☒ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას



1. სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის;
3. სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით;
4. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;
5. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;

ინდიკატორი 1. სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;

სკოლა სასწავლო პროცესს ახორციელებს ორ სართულიან შენობაში. სკოლის პასპორტის მიხედვით, სკოლის შენობა განთავსებულია 3060 კვ. მეტრ მიწის ნაკვეთზე. შენობის საერთო ფართი - 961 კვ. მ2 -, აქედან პირველი სართული - 474,97 მ2, ხოლო მეორე სართული - 486,54 კვ. მეტრი. ყველა საკლასო ოთახს აქვს ბუნებრივი განათება. საკლასო ოთახებში ერთადგილიანი მერხები და სკამებია, ასევე განლაგებულია - მასწავლებლებისათვის განკუთვნილი მაგიდა და სკამი, კედელზე არის დაფა/დაფები და ასევე სხვასხვა სასწავლო ინვენტარია განთავსებული. სკოლის შენობაში არის საერთო ღონისძიებებისათვის განკუთვნილი დარბაზი, ექიმის კაბინეტი, რესურსოთახი, ადმინისტრაციის კაბინეტი და სამასწავლებლო, ბიბლიოთეკა და სხვა დამხმარე სივრცეები. ყველა სართულზე განთავსებულია სველი წერტილები. სკოლას არა აქვს საჯარო რეესტრის ამონაწერი! სკოლის დირექტორის თქმით, წლებია ცდილობს სკოლის ფართის დარეგისტრირებას, მაგრამ ვინაიდან სკოლის საზღვრებში/წითელ ზონაში შემოჭრილია მეზობლის კარმიდამო, ხოლო ის მეზობელი არ იმყოფება საქართველოში - პროცესი ვერ პროგრესირებს. დირექციამ წარმოადგინა ა/წლის 9 ივნისის წერილი ქონების მართვის სახელზე. ასევე, სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომლის მიხედვითაც დაწესებულებამ საჯარო რეესტრში სკოლის შენობის და მისი მიმდებარე ტერიტორიის გატარების ვადად 2025 წლის 9/09 დააფიქსირა.

შესაბამისად, ფასდება როგორც მეტწილი შესაბამისი.

ინდიკატორი 2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის;

სკოლაში არსებული საგანმანათლებლო რესურსი, ბიბლიოთეკა, ღია სპორტული მოედანი, ისევე, როგორც რეკრეაციული სივრცეები ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების ნებისმიერი წევრისთვის. ასევე, ყველა კარების ღიობი სტანდარტულია. **ინდიკატორი 3.5.1. 2 დაკმაყოფილებულია.**

ინდიკატორი 3. სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით;

სკოლაში არის ბიბლიოთეკა, ასევე შემუშავებულია ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი. სკოლას ჰყავს ბიბლიოთეკარი. სკოლას აქვს როგორც გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოები, ასევე მხატვრული ლიტერატურის საცავი. თორტიზის სკოლის წიგნადი ფონდი შეადგენს 25309 წიგნს. ბიბლიოთეკარმა წარმოადგინა სამოქმედო გეგმა. ვიზიტის პერიოდში წიგნები არ იყო სრულყოფილად დამუშავებული ბიბლიოთეკის წესისა და მიხედვით. ელექტრონული კატალოგიც სკოლას არ ჰქონდა. თუმცა სკოლამ წარმოადგინა ბიბლიოთეკარის მოკლევადიანი სამოქმედო გეგმა , სადაც გაწერილია აღნისნული საკითხი სასწავლო წლის დაწყებისთანავე. **ინდიკატორი 3.5.1.3. დაკმაყოფილებულია.**

4. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;

სკოლას აქვს ორი პანდუსი, ადაპტირებული სველი წერტილები, საერთო სარგებლობის სივრცე, სკოლას აქვს რესურს ოთახი, რომლებიც ქმნიან ინკლუზიურ გარემოს და ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების ნებისმიერი წევრისთვის. მიუხედავად ახალი 2018 წელს აშენებული ინფრასტრუქტურისა, შენობის მეორე სართული არ არის ადაპტირებული! მეორე სართული ხელმისაწვდომი არ არის ეტლით მოსარგებლე სსსმ მოსწავლისთვის. სკოლას არა აქვს ლიფტი, არც მეორე სართულზე კიბეებზე დასადები ადაპტირებადი რელსები.

რომელსაც გამოიყენებდა შშმ პირი. სკოლამ წარმოადგენა შესაბამისობის გეგმა, სადაც არსებული შეუსაბამობის გამოსწორების ვადად 16/10/2026 წ. დააფიქსირა. შესაბამისად, ინდიკატორი 3.5.1.4. ნაწილობრივ არის დაკმაყოფილებული.

5. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოცო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას

სკოლას აქვს ეზო, ღია სპორტული მოედანი, ბიბლიოთეკა, ინტერნეტი, პროექტორი, სარეკრიაციო სივრცე. სკოლის ინფრასტრუქტურა იძლევა კულტურული, სპორტული, შემეცნებითი და სხვა ღონისძიებების სასკოლო საზოგადოების, მშობლების, თემის წარმომადგენლების ჩართულობით ჩატარების შესაძლებლობას.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

ამონაწერი საჯარო რეესტრიდან;

- ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი;
- სკოლის აზომვითი ნახაზი;
- შენობის ვიზუალური დათვალიერება;
- სასკოლო ინვენტარის ფლობის დამადასტურებელი ამონაწერი (მერხები, დაფები..)

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☐ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☒ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

1. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას;
2. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ინდიკატორი 1. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას;

სკოლა აღჭურვილია თანამედროვე ტექნიკური საშუალებებით. დაწესებულებამ წარმოადგინა 4 ცალი პროექტორის, 10 კომპიუტერის, 12 ლეპტოპის და 4 პრინტერის, მათ შორის 2 მულტიფუნქციური და ერთი ფერადი ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტი.

წარმოდგენილი ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციისა და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას.

ინდიკატორი 3.6.1.1. დაკმაყოფილებულია.

ინდიკატორი 2. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

სკოლის IT ინფრასტრუქტურა ფუნქციონირებს გამართულად. სკოლის აქვს წვდომა ინტერნეტთან, რომელიც ხელმისაწვდომია სკოლის მოსწავლეებისა და პერსონალისთვის, თუმცა სასურველია მისი გაძლიერება (ვიზიტის პირველ დღეს ფაქტიურად არ ფუნქციონირებდა!). რაც შეეხება ინფორმაციულ ტექნოლოგიების ლაბორატორიას, შესაძლებლობა აქვთ შემუშავებული წესისა და განრიგის შესაბამისად ისარგებლონ აღნიშნული რესურსით, როგორც სასწავლო პროცესის დროს, ასევე სასწავლო პროცესის შემდეგ. მასწავლებელს აქვს საშუალება საკლასო ოთახში შეიტანოს ლეპტოპი, პროექტორი და განახორციელოს კომპლექსური თუ სხვა დავალებით გათვალისწინებული აქტივობები, როგორცაა ინფორმაციის მოძიება, ვიზუალური მასალის ჩვენება, პრეზენტაციის გამართვა და სხვა.

ინდიკატორი 3.6.1.2 დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ვიზუალური დათვალიერება;
- საინფორმაციო ტექნოლოგიების ფლობის დოკუმენტაცია

3.6.2. სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

1. სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი;
2. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა;
3. სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში; *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*
4. სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან. *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი;

სკოლას შემუშავებული აქვს საქმისწარმოების წესი, ა(ა)იპ ცისარტყელაში საქმისწარმოებაზე პასუხისმგებელი პირია სკოლის ადმინისტრატორი. მისი ფუნქციები განსაზღვრულია შრომითი ხელშეკრულებით. ადმინისტრატორი ელექტრონულად აღრიცხავს და

არეგისტრირებს სასკოლო დოკუმენტაციას, ახორციელებს მოსწავლეების ჩარიცხვა-ამორიცხვას, უზრუნველყოფს სკოლის არქივის დაცვას, გასცემს დოკუმენტაციის დამოწმებული ასლს, ასევე უზრუნველყოფს საჯარო ინფორმაციის გაცემას, იღებს შემოსულ კორესპონდენციას, უზრუნველყოფს შემოსული კორესპონდენციის შესწავლასა და ადრესატისთვის წარდგენას და სხვა. სკოლას აქვს სარეგისტრაციო 3 სახის ჟურნალი: საკადრო ბრძანებების აღრიცხვის ჟურნალი, საერთო ბრძანებების აღრიცხვის ჟურნალი და შრომითი ხელშეკრულებების აღრიცხვის ჟურნალი. ჟურნალები დანომრილი, აკინძული, ბეჭედდასმული და ხელმოწერილი უფლებამოსილი პირის მიერ.

ინდიკატორი 3.6.2.1 დაკმაყოფილებულია.

2 სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა;

სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები. ჯერ-ჯერობით აღნიშნული დაწესებულება არ იყენებს დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემას Eflow-ს. მაგრამ სკოლის მოსწავლეთა და თანამშრომელთა ინფორმაციის დეტალურად ასახვა ხდება განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში.

აღნიშნულ სისტემაში ხორციელდება ასევე მოსწავლეთა მობილობის, სტატუსის შეჩერების, ჩარიცხვა-ამორიცხვის შესახებ ინფორმაციის

ასახვა. გარდა ამისა, სასკოლო საზოგადოებასთან ურთიერთობისა და ინფორმაციის მიღება-გავრცელებისათვის სკოლა აქტიურად იყენებს საკუთარ ელექტრონულ ფოსტას, ვებგვერდს და სკოლის სოციალური ქსელის გვერდს.

ინდიკატორი 3.6.2.2. დაკმაყოფილებულია.

3.სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში;

განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის შემოწმების შედეგად დგინდება, რომ სკოლას სრულად აქვს ასახული ინფორმაცია

განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში, როგორც მოსწავლეთა, ისე თანამშრომლებთან მიმართებაში.

ინდიკატორი 3.6.2.3. დაკმაყოფილებულია.

4 სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

ექსპერტთა მიერ შემოწმების შედეგად დადგინდა, რომ სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებთან დროულ კომუნიკაციას. ანგარიშების წარდგენა შესაბამის სტრუქტურებთან ხდება ვადებისა და პროცედურების დაცვით.

ინდიკატორი 3.6. 2.4. დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საქმისწარმოების წესი;
- ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში სკოლის მონაცემები;
- შემოსული და გასული კორესპონდენციები;
- ინტერვიუ დირექციასა და ადმინისტრაციასთან.

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

1. სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით;
2. სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;
3. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად; *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*
4. სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;



5. ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.

ინდიკატორი 1. სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით;

საზოგადოების ეფექტური ინფორმირებისთვის სკოლა იყენებს ვებგვერდს <https://skolebi.emis.ge/schools/>

ასევე სკოლის სოციალური ქსელის გვერდზე: <https://www.facebook.com/marexi.iosebidze/> განთავსებულია ინფორმაცია სკოლის სიახლეებისა და მიღწევების შესახებ. სკოლას აქვს ასევე ელექტრონულ ფოსტა: tortiza@mes.gov.ge და ელექტრონული ჟურნალი.

ინდიკატორი 3.6.3.1. დაკმაყოფილებულია.

ინდიკატორი 2. სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;

სკოლის ვებგვერდზე და სოციალურ ქსელში ინფორმაციის განთავსება ხდება პერსონალური მონაცემებისა და ინფორმაციის დაცვით. აღნიშნული დასტურდება სკოლის მიერ წარმოდგენილი მოსწავლეთა მშობლების მიერ შევსებულ თანხმობებით ფოტო-ვიდეო გადაღებაზე. [სკოლის ვებგვერდზე, facebook გვერდსა, თუ საინფორმაციო დაფებზე განთავსებული ინფორმაცია, სასურველია, მუდმივად განახლებადი იყოს.](#)

ინდიკატორი 3.6.3.2. დაკმაყოფილებულია.

ინდიკატორი 3. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირის სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად; (შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)

ინდიკატორი ვერ ფასდება. ინდიკატორი 4. სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;

სკოლის ვებ. გვერდზე <https://skolebi.emis.ge/schools/2378?schoolName=%E1%83%A1%E1%83%A1%E1%83%98%E1%83%9E%20-%20%E1%83%92%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%A1%20%E1%83%9B%E1%83%A3%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%9E%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A2%E1%83%94%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%A1%20%E1%83%A1%E1%83%9D%E1%83%A4%E1%83%94%E1%83%9A%20%E1%83%97%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%96%E1%83%98%E1%83%A1%20%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%AF%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%9D%20%E1%83%A1%E1%83%99%E1%83%9D%E1%83%9A%E1%83%90> ინფორმაცია განთავსებულია ქართულ ენაზე.

ინდიკატორი

3.6.3.4..

დაკმაყოფილებულია.

ინდიკატორი 5. ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.

დაწესებულების ვებგვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, სასკოლო სასწავლო გეგმა, სკოლის შინაგანაწესი, ხელმისაწვდომია სკოლის სამოქმედო გეგმა და სხვ.

ინდიკატორი 3.6.3.5 დაკმაყოფილებულია.

.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის ვებ-გვერდი;
- მართვის საინფორმაციო სისტემა;

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3.7. ფინანსური რესურსები

3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

1. სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება;
2. სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ინდიკატორი 1 სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება;

.სკოლამ წარმოადგინა 2024 წლის ბიუჯეტი, რომელიც განხილული და დამტკიცებულია სამეურვეო საბჭოს მიერ . დირექტორის წლიური ფინანსური ანგარიშით დგინდება, რომ ბიუჯეტი შემუშავებულია რეალური გათვლებისა და გაანგარიშების საფუძველზე, როგორც შემოსავლების ასევე ხარჯვით ნაწილში. სკოლის დირექტორის 2024 წლის 10 დეკემბრამდე, სკოლის სამეურვეო საბჭოს წინაშე წარადგენს ფინანსურ ანგარიშს. ყოველი წლის დასაწყისში სკოლა საგანმანათლებლო რესურსცენტრში წარადგენს ფინანსური შედეგების ანგარიშგებას (წლიური ბალანსი). **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

ინდიკატორი 2. სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა. სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის, დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის, ეფექტიანი სისტემა. ბიუჯეტის დაგეგმვა ხდება გასული წლის მონაცემების დამუშავებით, გათვალისწინებულია ასევე წინა წლის შესყიდვების გეგმის შესრულების ხარჯვითი ნაწილი, განსაზღვრულია ახალი საჭიროებები, გათვალისწინებულია სკოლის ბიუჯეტის ოდენობა, რაც რჩება ხელფასის, კომუნალური და სხვა აუცილებელი ხარჯების შემდეგ. სკოლა თანხებს განკარგავს დამტკიცებული ბიუჯეტის

შესაბამისად, შესყიდვების გეგმა შედგენილია ბაზრის კვლევის საფუძველზე. სკოლის დირექციას დამტკიცებული აქვს სახელმწიფო შესყიდვების წლიური გეგმა.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- 2023 წლის -ის ფინანსური ანგარიში;
- 2024 წლის სახელმწიფო შესყიდვების წლიური გეგმა;

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

4. მოსწავლეთა მხარდაჭერა

4.1. მოსწავლეთა უფლებების დაცვა

4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

1. სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა;
2. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან;



3. მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ინდიკატორი 1.სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა;

სკოლას აქვს დამტკიცებული მოსწავლეთა რეფერირების წესი.მოსწავლის ჩარიცხვის,საფეხურის დამლევის,მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმები.გასაჩივრების დეტალური პროცედურები.ს თორტიზის სკოლას შეუძლია გაატაროს კანონით გათვალისწინებული რეგულაციები მოსწავლის უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველსაყოფად, რომლის დროსაც აუცილებლად იმოქმედებს ბავშვის მისი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით.

სკოლაში ნებისმიერ მოსწავლეს შეუძლია ისარგებლოს სასკოლო დროს სკოლის ტერიტორიაზე ყველა უფლების დაცვით. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა ხდება სკოლის შინაგანაწესით, რომელიც კრძალავს ნებისმიერი სახის დისკრიმინაციას რასის, კანის ფერის, ენის, ეთნიკური და სოციალური კუთვნილების, ეროვნების, წარმოშობის, წოდებრივი და ქონებრივი მდგომარეობის, საცხოვრებელი ადგილის, ასაკის, სქესის, სექსუალური ორიენტაციის, შეზღუდული შესაძლებლობის, რელიგიური ან რაიმე გაერთიანებისადმი კუთვნილების, ოჯახური მდგომარეობის, პოლიტიკური და სხვა შეხედულებათა გამო.

შინაგანაწესთან ერთად მოსწავლის მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებული ხელშეკრულება კიდევ უფროს ამყარებს უფლებების დაცვის მექანიზმს. თორტიზის სკოლაში არჩეულია მოსწავლეთა თვითმმართველობა, ასევე შექმნილია დისციპლინური კომიტეტი.

ინდიკატორი 4.1.1.1.დაკმაყოფილებულია

ინდიკატორი 2. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან;

სკოლის შინაგანაწესი განთავსებულია სკოლის ფოიეში თვალსაჩინო ადგილას. დირექციის წარმომადგენლებმა ინტერვიუში აღნიშნეს, რომ მოსწავლისა და მშობლის მონაწილეობით ყოველი სასწავლო წლის დასაწყისში მშობელთა კრებებზე, კლასის საათებზე, ღია კარის შეხვედრებზე სკოლა უზრუნველყოფს მათი უფლებებისა და მოვალეობების, შინაგანაწესით გათვალისწინებული წახალისებისა და დისციპლინური დევნის რეგულაციების გაცნობას, საკლასო წესების შემუშავებას. სკოლაში აქტიურად ფუნქციონირებს მრჩეველთა საბჭო.

ინდიკატორი 4.1.1.2 დაკმაყოფილებულია

ინდიკატორი 3. მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი სასწავლო წლის დასაწყისში პირველ კლასში შემოსულ მოსწავლეთა კანონიერ წარმომადგენელთან ფორმდება კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება.

სკოლასა და მოსწავლეთა მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან დადებულია ხელშეკრულება, რომელშიც ასახულია ინფორმაცია, უფლება-მოვალეობების გაცნობის პერსონალური ინფორმაციის დაცვის (ფოტოების, მონაცემების, აქტივობების გასაჯაროების შესახებ თანხმობა, რომელშიც მონაწილეობს არასრულწლოვანი), წიგნებისა და ლექტოპების თაობაზე ხელშეკრულებები აკისრებს მშობლებს მოვალეობას წიგნების მოვლისა და სასწავლო წლის ბოლოს ბიბლიოთეკისთვის დაბრუნებაზე.

ინდიკატორი 4.1.1.3 დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

მშობელთან გაფორმებული ხელშეკრულება ;

• მშობლებისა და პერსონალის თანხმობის განაცხადები პერსონალური მონაცემების გასაჯაროებაზე;

• შინაგანაწესი

4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

1. სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები;
2. სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს; *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*
3. სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
4. სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ინდიკატორი 1. სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები;

სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები. კლასისა და საფეხურის დაძლევა განსაზღვრულია სასკოლო სასწავლო გეგმით. სკოლაში არსებობს პასუხისმგებელი პირი, რომლის ვალდებულებაა აწარმოოს მოსწავლეთა მოძრაობის აღრიცხვა (პირველკლასელთა რეგისტრაცია, მოსწავლეთა მობილობა, სტატუსის შეჩერება/აღდგენა და ა.შ) სკოლის ელექტრონულ მონაცემთა ბაზაში (Eschool.emis.ge) - კლასის დამრიგებლები ახორციელებენ მოსწავლეთა გაცდენების მონიტორინგს. სკოლა უზრუნველყოფს ინფორმაციის თანაბარ ხელმისაწვდომობას ყველა დაინტერესებული პირისთვის, კერძოდ, იმ კანონმდებლობისა, რომელიც განსაზღვრავს სკოლაში მოსწავლის მიღებას, საფეხურის დაძლევას, სტატუსის შეჩერებასა თუ აღდგენას. პირველკლასელთა ადრეული რეგისტრაციის პროცესში, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის სკოლაში ჩარიცხვა ხდება ფსიქოსაგანმანათლებლო სპეციალისტის დასკვნის საფუძველზე.

ინდიკატორი 4.1.2.1. დაკმაყოფილებულია

ინდიკატორი 2. სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დამლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს; *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*

ინდიკატორი 3. სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი;

სკოლა მოსწავლეებს სთვავთბს მეორე უცხოენას, რომელიც დასტურდება მშობლებთან ჩატარებული კრების ოქმით. სკოლაში ფუნქციონირებს რამდენიმე კლუბი. მათ შორის აქტიურად ფუნქციონირებს კონიკლუბი. კლუბებს აქვს პროგრამები, შესაბამისი დებულება, მშობელტა თანხმობები და სხვა დოკუმენტაცია... სკოლა აპირებს მოსწავლეებს შესთავაზოს დამატებითი კლუბები ინტერესებიდან გამომდინარე.

ინდიკატორი 4.1.2.3. დაკმაყოფილებულია

ინდიკატორი 4. სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული.

რამდენადაც სკოლა და მისი პერსონალი ხელმძღვანელობს სკოლის შიდა მარეგულირებელ დოკუმენტებით, შესაბამისად ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული

ინდიკატორი 4.1.2.4.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

სკოლის ვებ გვერდი;

ინტერვიუს შედეგები;

მშობლებთან დადებული ხელშეკრულებები;

საერთო ბრძანებები;

Eschool ბაზ

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

1. სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი;
2. სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან; *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*
3. მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;
4. სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწყევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით;
5. სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას;
6. მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ინდიკატორი 1. სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი;

სკოლას დირექტორის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრული აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის მექანიზმი. დოკუმენტის მიზანია განსაზღვროს სკოლის მიერ, მისი მიზნებისა და საქმიანობის გათვალისწინებით, მოსწავლეთა სასკოლო ცხოვრებაში ადაპტაციის მექანიზმები და მათი განხორციელების პროცედურები. დოკუმენტში გაწერილია, თუ როგორ ხდება პირველკლასელთა, მობილობით გადმოსულ და სსსმ მოსწავლეთა ადაპტაცია, ტრანზიცია ბაღიდან სკოლაში ან სხვა სკოლიდან.

ინდიკატორი 4.2.1.1. დაკმაყოფილებულია.

2.....

ინდიკატორი 3. მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;

